

ეკონომისტის სამაგიდო წიგნი

ვლადიმერ (ლადო) პაპავა
აკადემიკოსი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

მეცნიერების ნებისმიერი დარგი ეფუძნება შესაბამის კატეგორიულ აპარატს, რომლის გარეშეც ვერც მეცნიერების ამ დარგის შესწავლა და ვერც მისი განვითარება შესაძლებელი ვერ იქნება. ეკონომიკური მეცნიერება ახალი ტერმინებით განსაკუთრებით ბოლო პერიოდში გამდიდრდა. აქედან გამომდინარე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქართულ ენაზე ეკონომიკური ტერმინოლოგიის სათანადო საცნობარო ლიტერატურის არსებობასა და მის მუდმივ განახლებას.

პროფესორი როზეტა ასათიანი განეკუთვნება იმ ქართველ ეკონომისტთა რიცხვს, რომლის შემოქმედებასაც მისი კოლეგები და სტუდენტები კარგად იცნობენ. მის ნაშრომთა რიცხვს განეკუთვნება, როგორც პროფესიონალთა, ისე მკითხველთა ფართო წრისათვის კარგად ცნობილი მონოგრაფიები და სტატიები, და არანაკლებ პოპულარული საცნობარო ლიტერატურაც.

"თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედია" პროფესორ როზეტა ასათიანის შემოქმედების ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია. ის, უწინარეს ყოვლისა, გამოირჩევა ორიგინალურობით, რადგანაც არ შექმნილა უცხო ენაზე არსებული ანალოგიების უშუალო გადმოქართულებით. ავტორის დამსახურებაა ის, რომ მან კრიტიკულად შეაფასა ეკონომიკური ტერმინების არსებული განმარტებები და ორიგინალური ინტერპრეტაცია მისცა მათ დიდ უმრავლესობას.

აღსანიშნავია, რომ ქართულ ენაზე გამოცემულ ეკონომიკურ საცნობარო ლიტერატურაში პროფესორ როზეტა ასათიანის მიერ შექმნილი ენციკლოპედია თავისი სიღრმითაა განსაკუთრებით გამორჩეული. ამიტომ დარწმუნებული ვართ, რომ წინამდებარე ნაშრომი – „თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედია" ეკონომისტთა, სოციალურ მეცნიერებათა წარმომადგენლებისა და სტუდენტების სამაგიდო წიგნის ფუნქციას შეასრულებს.

გლობალურისა და ლოკალურის თავსებადობის კონცეპტუალური მიდგომები – ნაშრომის ორგინალურობის საფუძველი

ნოდარ ჯითანავა
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სდასუ-ის პროფესორი

პროფესორი როზეტა ასათიანი, რომელიც ნაყოფიერი (ყოველთვის შედეგზე ორიენტირებული) და დროის მოთხოვნებთან შესაბამისი ნაშრომებით, პრაქტიკის ღრმა განზოგადების უნარითა და საკუთარი ხელწერით გამოირჩევა, საზოგადოებას სთავაზობს ორიგინალურ ნაშრომს. იგი ორიგინალურია, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ დროის გამოწვევებს ადეკვატურად უპასუხებს. დრო კი, გლობალიზაციის ყოვლისმომცველი და ობიექტური პროცესის გავლენით, ახალ-ახალ მოთხოვნებს უყენებს საზოგადოებას, პირველ რიგში, მეცნიერებას, რომელიც, თავის მხრივ, პრაქტიკის განზოგადებით, ეკონომიკური განვითარების მრავალწახნაგოვანი პროცესების ურთიერთგანპირობებულობით საზოგადოებრივ პროგრესს შესაბამის მიმართულებას აძლევს.

დრომ ახალი გამოწვევები შესთავაზა ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებას. პასუხი აისახა ბოლო წლებში გამოცემულ თეორიულ, საცნობარო და სალექსიკონო ეკონომიკურ შრომებში. მათ შორის აღსანიშნავია ქალბატონ როზეტა ასათიანის ნაშრომები, პირველ ყოვლისა, ლექსიკონები, რომლებმაც სამეცნიერო წრეებში მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

წინამდებარე ნაშრომში ვრცლად არის განხილული ეროვნულ ეკონომიკაზე გლობალური პროცესების გავლენის თავისებურებები, ტენდენციები, ქართული ეკონომიკური მეცნიერების როლი, **გლობალურისა და ლოკალურის თავსებადობის კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომები,** გარდამავალი პერიოდის წინააღმდეგობრივი ხასიათი და მოცემულია, თვით ენციკლოპედიისადმი წაყენებული მოთხოვნების, მისი თავისებურებების გათვალისწინებით, მიმდინარე პროცესების (მოვლენების) ადეკვატური ახსნა. სწორედ ამით განისაზღვრება ნაშრომის ორიგინალური ხასიათი.

როგორია ნაშრომის მეცნიერული და საზოგადოებრივი მნიშვნელობა? სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ნაშრომი პასუხობს ენციკლოპედიის მიმართ საყოველთაოდ ცნობილ მოთხოვნებს და გამოირჩევა სიახლეებით, რაც მას განსაკუთრებულ მეცნიერულ და საზოგადოებრივ მიშვნელობას ანიჭებს. ამაში თავად მკითხველი დარწმუნდება.

პირველი ეკონომიკური ენციკლოპედია ქართულ ენაზე

მიხეილ ჯიბუტი
საქართველოს ეკონომისტთა ასოციაციის პრეზიდენტი. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი.

პროფესორი როზეტა ასათიანი ქართველი მეცნიერ-მკვლევარია, რომლის კვლევის სფერო საკმაოდ ვრცელია, არ შემოიფარგლება მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებითა და რეკომენდაციებით, ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე განმარტებითი ლექსიკონებით, რომლებიც სამაგიდო წიგნები გახდა განსაკუთრებით ბიზნესში ჩართული მუშაკებისთვის.

წინამდებარე ნაშრომი – „თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედია“, დარწმუნებული ვარ, დიდ ინტერესს გამოიწვევს საზოგადოებაში, თუმცა მაიკლ ჰარდის მიერ დაწყებული ელექტრონული წიგნების ეპოქა, ალბათ მომავალში ციფრულით ჩაანაცვლებს, პირველ ყოვლისა, ლექსიკონებსა და ენციკლოპედიებს.

გზად დიდი ქართული ეკონომიკური ენციკლოპედიისკენ

მერაბ გველესიანი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ვინც პროფესორ როზეტა ასათიანის შემოქმედებას იცნობს, მოეხსენება საცნობარო ეკონომიკური ლიტერატურის შექმნაზე მისი ღვაწლის შესახებ. ავტორმა ჯერ ლექსიკონები შეადგინა, მაგრამ თავისი ფართო ერუდიციისა და აზროვნების წყალობით ვერ „ჩაეტია" ამ ფორმატში და მისმა საქმიანობამ ბუნებრივი და კანონზომიერი ტრანსფორმაცია განიცადა. ამის პროდუქტი იყო „თანამედროვე ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი" (2012). ამის პროდუქტია წინამდებარე მცირე ენციკლოპედიაც, რომელიც ქმნის წინაპირობას და, ვფიქრობ, ფუნდამენტსაც დიდ ენციკლოპედიაზე სამუშაოდ.

ვისაც საქმიანობის ამ სფეროში ღრმად არ ჩაუხედავს, ეგებ იოლი ასავლელი ეგონოს ის გზა, რომელიც ავტორმა აიარა ათწლეულების მანძილზე და ბოლო არ უჩანს, ვერც ვერასდროს გამოუჩნდება. მავანმა ეგებ ისიც თქვას, ლექსიკონებისა და ენციკლოპედიების მეტი რა არის გამოცემული და რატომ სჭირდება ერუდიცია და აზროვნება მათგან ახლის „გამოჭრასო." სამწუხაროდ, „ჭრა-კერვის" მეთოდით მუშაობა თვით დრომ შემოგვთავაზა როგორც ფულის კეთებისა და პუბლიკაციების დაგროვების ხელსაყრელი საშუალება. მაგრამ შემოგვთავაზა იგი დრომ, რომელშიც პოსტსაბჭოური სივრცეა მოქცეული, ხოლო დაჩქარებული მსოფლიო დრო ვერ იგუებს მსგავს მეთოდებს. ეკონომიკის სტრუქტურებში მიმდინარე ტექტონიკური ძვრების ასახვა მეცნიერებაში სიღრმეების ახლებურ წვდომასთან ერთად, ტერმინოლოგიური აპარატის განახლებას ითხოვს. ამ გასაგები მიზეზების გამო ვიქეცით ტერმინების მიმღებებად მათი შემქმნელებისაგან. მაგრამ ჩვენი ენა გადარჩენისთვის იბრძვის, შემოდის უცხოური ტერმინი და „ცდილობს" დათრგუნოს ქართული შესატყვისი, ეს კი „თავისას ცდილობს" და ხშირად მათი შეჭიდება „სფეროთა განაწილებით" მთავრდება – თითოეული თავის ადგილს იკავებს, მეორისგან განსხვავებული ნიუანსით ასახავს იმავე საგანს. ენა მდიდრდება.

ნათელი უნდა იყოს, რაოდენ ფრთხილი მიდგომა და მახვილი ინტუიცია ესაჭიროება ამ ვითარებაში ტერმინოლოგიის შერჩევას.

ეს სიძნელე ლექსიკოგრაფიასაც ახლავს და ენციკლოპედიური ლიტერატურის შექმნასაც. ენციკლოპედიას – სამმაგად, რაკი მას მოეთხოვება მხოლოდ „იოლად" კი არ განმარტოს ტერმინი, ამ განმარტებაში მხოლოდ გაბატონებული აზრი კი არ ასახოს ტერმინის ცნებითი შინაარსის შესახებ, არამედ მას მოეთხოვება წარმოაჩინოს მეცნიერების პროგრესული მიმართულება, ის მიმართულება, რომელსაც ავტორი თვლის პროგრესულად, იქნებ, წარმოაჩინოს საკუთარი ინტერპრეტაციით ან სულაც საკუთარი ვარიანტით. სხვა გზა მას არც რჩება, როდესაც იგი არ იზიარებს გავრცელებულსა და ერთიმეორის საპირისპირო შეხედულებებს, სადღეისოდ ესოდენ მომრავლებულთ. სხვა გზა არ რჩება საქმისთვის მოწადინებულ ავტორს, თორემ გზა არსებობს. იგია იოლი გზით მავალთა გზა, რომლითაც სხვადასხვა წყაროდან ენციკლოპედიის „ახალი" ვარიანტის გამომჭრელი თუ წავა. ასეთი ენციკლოპედია ვერ ასცდებოდა ეკლექტიკას, შინაგან წინააღმდეგობებს, რომლებიც გაურთულებდა მკითხველს წაკითხულის აღქმას.

წარმოდგენილი „თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედიის" უკან იგრძნობა მოაზროვნე ავტორი, რომელსაც ეკონომიკის თანმიმდევრული და ორიგინალური ხედვა აქვს. წიგნის უდავო ღირსებად ისიც მიმაჩნია, რომ ამ ხედვას ავტორი მოზომილად ავითარებს და არ გადის საცნობარო ლიტერატურის ფორმატიდან. თუმცა ალბათ გამოჩნდება სხვა აზრიც. პროფესორი რ. ასათიანი გულისყურით უსმენს კეთილმოსურნე განსხვავებულ აზრს, რასაც არ უნდა ეხებოდეს იგი – მისი წიგნის ფორმასა თუ შინაარსს, რაც საკუთარ თავზეც გამოვცადე.

დიდი ქართული ეკონომიკური ენციკლოპედიის შექმნას წლების მანძილზე ინტენსიური მუშაობა დასჭირდება. იმედია, წინამდებარე ნაშრომის ავტორი ამ დიდ ეროვნულ ამოცანას განახორციელებს კეთილმოსურნე პაექრობის ატმოსფეროში, ისეთში, როგორიც ამ წიგნის რედკოლეგიაში სუფევდა.

წიგნი – ეკონომიკის გზამკვლევი

თეიმურაზ ბერიძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი

ეკონომიკური ლექსიკონებისა და ენციკლოპედიების გამოსვლის აუცილებლობა განპირობებულია ეკონომიკაში რადიკალური ცვლილებებით, მეურნეობრიობის თვისებრივად ახალ მოდელზე – საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლით. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა თანამედროვე ეკონომიკისა და ბიზნესის ტერმინოლოგიის სისტემატიზაციის საკითხმა.

აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის საქმეში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ როზეტა ასათიანის მიერ მომზადებული „თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედია“. ავტორი იძლევა როგორც ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს ახსნას, ისე ბიზნესგარემოს ამსახველი ტერმინების განმარტებას, რაც უდავოდ გარკვეულ სიახლეს წარმოადგენს სალექსიკონო და საცნობარო ლიტერატურაში.

ყურადღებას იპყრობს საერთაშორისო ეკონომიკური და საფინანსო ინსტიტუტების, ეკონომიკური პოლიტიკის, დემოგრაფიის, სოფლისა და ტყის მეურნეობების, ეკონომიკური კლასიფიკატორების, კონცეფციების, თეორიებისა და მოძღვრებების ახსნა-განმარტებები. ავტორი არ იფარგლება მხოლოდ ტერმინების განმარტებით, არამედ იძლევა მათ სიღრმისეულ ახსნას (მაგალითად, ეკონომიკური თეორია, ეკონომიქსი და სხვ.), რაც, ასევე, ლექსიკონის ღირებულ მხარესა და სიახლეს წარმოადგენს.

მცირე ენციკლოპედია, თავისი ფორმითა და შინაარსით სერიოზული განაცხადია, შედგენილია იმგვარად, რომ საშუალებას აძლევს მკითხველს არა მარტო პროფესიულად დაეუფლოს ეკონომიკურ ტერმინოლოგიას, არამედ კარგად გაერკვეს თანამედროვე ეკონომიკის რთულ ურთიერთკავშირებში.

ენციკლოპედიაში წარმოდგენილი ძირითადი ტერმინების განმარტებები მთლიანად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და ასახავს ეკონომიკური მეცნიერების თანამედროვე მიღწევებს.

დიდი გამოყენებითი ღირებულების მცირე ენციკლოპედია

იოსებ არჩვაძე
საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი

ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე დღის სინათლე ეკონომიკური პროფილის მრავალმა ლექსიკონმა იხილა, თუმცა საბაზრო ურთიერთობების შემოჭრა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აღნიშნული მიმართულებით სამეცნიერო ძალისხმევის აუცილებლობას კიდევ უფრო აქტუალურს ხდის. ამ მხრივ, გამორჩეულად გვესახება ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის პროფესორ როზეტა ასათიანის „თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედია“.

ნაშრომს „მცირე“ ნამდვილად მოკრძალებულად ჰქვია, რადგან იგი საკმაოდ დიდტანიანი (40 ნაბეჭდი თაბახი) და ინფორმაციულად ტევადია.

„თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედიის“ მომხმარებელი მთელი რიგი პრეფერენციებით ისარგებლებს: ჯერ ერთი, მასში შესული ტერმინებისა და ცნებების გამოყენებით შესაძლებელი ხდება გაცილებით უფრო პროფესიულ და აკადემიურ დონეზე მოხდეს საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების დახასიათება, მეორე, მასში პირველადაა შეტანილი რამდენიმე ასეული ტერმინი, რომლებიც მანამდე საქართველოში გამოცემულ არც ერთ ეკონომიკურ ლექსიკონში არ ყოფილა ასახული და განმარტებული.

დარწმუნებული ვარ, „თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედია“ დიდი ხნით დაიმკვიდრებს ადგილს მეცნიერების, პრაქტიკოს–სპეციალისტებისა და სტუდენტი–ახალგაზრდობის სამუშაო მაგიდაზე.